KA030197792747320

№ **/**********/**** *

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრეთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრეთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის
თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანაში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID - 19) შესაძლო შემთხვევების მასშტაბური გავრცელების თავიდან აცილებისა და პანდემიიდან მაქსიმალურად მცირე დაზიანებით გამოსვლის ღონისძიებების განსახორციელებლად.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა საჭირო აღჭურვილობითა და სამედიცნო ინვენტარით, რათა დროულად და ხარისხიანად განხორციედეს ახალი კორონავირუსის მზარდი შემთხვევების და მისი გართულებების მართვა

გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შპს "ქ.ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოსთვის" განხორციედეს დიალიზის აპარატების, პლაზმოფერეზის აპარატის და ლაბორატორიის ანალიზატორტების, ხოლო შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის" რუხის სამედიცინო ცენტრისთვის დიალიზის აპარატებისა და ლაბორატორიის ანალიზატორტების შესყიდა.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულს შესყიდვა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის (IBRD, IDB) სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში დაჩქარებული წესით. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს საჭირო პროცედურების განხორციელება.

პატივისცემით,

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია